

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ზ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში ბარეზე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. ВЪ редакціи газ. „Дროება“.

გაზეთის ფასი: მთელის წლი-სა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., ხანის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

ყოველ დღე ორგზაბათს გარდა

ფასი განსაზღვრის, დღის ასო-ებით ასოზე... სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცი-ცროთი—5 კაპ., პატარაი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გა-ასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდო-გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდე-ლი სტატიები ავტორს არ დაუბრუნ-დება.

მთილისის ქალაქის გამგეობამ, პირველსავე სხდომაში შემდეგ სამ-წუხარო ამბის მიღებისა ქაშპასნი-ში მთავარ-მართებლათ მყოფის, გენერალ-შელდ-მარშალის, თავ-ადის ალექსანდრე ივანეს ძის ბარიატინსკის სიკვდილზე, გადასწ-ყვიტა გადენდა მიცვალებულზე პა-ნაშვიდი მთილისის ყოველ წოდე-ბის კაცის დასწრებით.

პანაშვიდს გადენიან ალექსან-დროვის ბაღში კვირას, 11 მარტს, 12 საათზე.

მთილისის ქალაქის თავი ვალ-დებულათ რაცხს თავის თავს შე-ტყობინოს ეს მთელ ქალაქის მცხო-ვრებთა.

ტელეგრაფები

(„დროების“ კორრესპონდენტისა)

მუთაისნი, 10 მარტს. მუთაისის ქალა-ქის რჩევამ შესწირა 500 მანეთი გაჭი-რებულ მოზულეთელების სასარგებლოთ.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

კაშპარბურლი, 8 მარტს. გაზეთი „ახა-ლი დროება“ ამტყუნებს იმ ხმას, რომ

ერთი ძიევეში ერთი არისტოკრატის ქვირი-ვი დაჭიროთ პოლიტიკურ საქმეებში გარევისათვის.

მინა, 7 მარტს. სალონიკიდან იწერე-ბიან, რომ მაკედონიაში ბოლგარეფლე-ბის და ბერძენების მოძრაობა ძლიერ-დება; ყველგან ინსურგენტები ჩნდ-ებიან. სალიხ-ფაშამ განკარგულება მოა-ხდინა ამაზე. სტამბოლში შესთვალეს, რომ დაერიგებინათ მაჰმადიანთ მოსახ-ლეათთვის სწრაფ-მსროლი თოფები და მოეწოდათ ისენი შირისტანების ამოა-წყვიტათ.

კაშპარბურლი, 9 მარტს. მრავი. ლო-რის-მელიქოვი ასტრახანიდან გვაცნო-ბებს 8 მარტს, რომ იმას გაუგზავნია იმ დღეს ორი კამისია მოლგის და ანტურის ნაპირებზე თევზის დასაწყობი სახლების გასაშინჯათ.

კაშპარბურლის ბირჟა, 8 მარტს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის	— 96—50
მეორე	— 96—37
მესამესი	— 95—50
მეოთხესი	— 95—75
აღმოსავლეთის პირ.	— 93—87
აღმოსავლეთის მეორე	— 93—62

მ. ქრო, 1/2, იმპერიალი — 8—41

მთილ. თავად-ან. ბანკის

— გირაოს ფურცელი — — —

— შინაგანი 5% სესხის ბილეთები — — —

— მან. კაპ. — — —

პირველი სესხის — — — 238—50

მეორე სესხის — — — 234—50

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — — — „ პენსი

ამსტერდამი — — — „ ცენტი

ბერლინი — — — „ 3ჭენიგი

პარიჟი — — — „ სანტიმი

მაეკასიის კერასინი — — —

საქართველო

დღიური

* * ჩვენ გვწერენ სოფელ სტეფან-წმინდიდან, რომ იქით სოფლების მამაჰ-სახლისები ძალიან უწყობებს ჩაღიანო. მართებლობამ სოფელს რომ ოცი თე-მანი შეაწეროს, ისინი გლეხებისაგან ოც და ათს იღებენ და ასე ამ გვართ ერთს ორათ აძრობენ ტყავსაო.

* * ამ დღეებში, ერთ პატრიცეუმულს იმერელს, თბილისში მცხოვრებს ერთი იმერეთიდან ჩამოყვანილი ქალი გაუყიდ-ნია. ამ იმერლის გვარს ჩვენ შემდეგ

ფელტონი

შენიშვნა უფ. ა—ის რეპენიანაზე

შესახებ კომისია: „ღიმიტრი თავ-დადებული.“

(დასასრული)

მრთიკ უკანასკნელი „უცნაურობა“.

„ღიმიტრი თუმცა კეთილი და რბილი გულის კაცია—არავინ არ უყვარსო“; აცხადებთ თქვენ: „ის არავის ესალმება წასვლის დროს, არც დედა აგონდება არც სოლ-შვილიო“... მრთხელ კიდე ვიმეორებ, რათ იხენთ უცნაურს იქ, სა-დაც არაფერია უცნაური! პაციანო და გუნება: ვის ხუცესი მოსწონსო და ვის ხუცის ცალიო. მრთი იტყვის, რატომ

*) „დროება“, № 53.

დედას არ გამოეთხოვია, მეორე—ცოლი რათ არ გადაპროშტაო, მესამე-მეძებრებს უნდა გამოამშვიდობებოდეს და მესაე-ხატებსაო... მს აღამიანის გემოზეა, და პოეტის ყველას ვერ გაწელება. მანა გმი-რისთვის მოიძებნება თავის ხალხზე უსაყ-ვარლესი სათრფო და მეგობარი? იმაზედ უკეთესი გამოამშვიდობება და სიყვარუ-ლის გამოცხადება, რომელსაც მეფე უცხადებს ხალხს, განა შეიძლება კიდე? არა, დემრთმანი, უცნაურია თქვენი კრი-ტიკა, უცნაური! ძალას ატანთ პოეტს, რომ მას მანცა-და-მანც ამისთანა გა-მოთხოვება უნდა გამოეხატაო... პოეტმა ამოარჩია რამოდენიმე საუკეთესო წუთი (მომენტ) თავის მხატვარ-პოეტური მიზ-ნისთვის: ქვეყნის დიდ-კაცობასთან თათ-ბირი, ხალხთან გამოთხოვება, გამოგ-ზავნილს ჯართან შეყრა, ყვენის წინაშე წადგომა, სატყვეოში ყოფნა და თავ-

სავეთი მოედანი. როგორ თუ გმირი არაა ის მეფე, რომელსაც დარჩენას ევე-დრება მთელი ხალხი, რომლის გულის-თვის სამარეში ფეხ-ჩამდგარი მოხუცი, როგორც მთელი ხალხის სურვილის და გრძობის გამომთქმელი, მზათ არის შეილები მტერს შეაკლას და რომლის რკინა გული (თუმც სტირის და ვაებს) უცვლელათ აღგია ერთხელეე გადაჭრილ-გამოზომილს აზრს?! მან კარგათ იცის, რა თავდადებასაც იჩენს, მან იცის, რა მეფეცაა ის თავის ხალხისთვის, და სწი-რავს თავს სწორეთ გმირულათ. ის თვი-თონ ევედრება მხლებლებს ნუ გააჯავ-რებენ ჯარს და ნუ გამოიღებენ ხელსაო, თუ ვინიცობა რამე უკადრისობა აკად-რეს. ის გმირულათ, ნამდვილ მეფურათ უპასუხებს (ამაყ ყვენს; ის მაღალ-სულთ-ნებით აღსავსე რკინა-გული ეუბნება უარს, როგორც მაუღურებას, ერთგულ



გამოვაცხადეთ ჩვენს გზებში საზოგადოებისაგან დასასჯელათ.

* * * ბაზეთს „ძვეკას“ ტელეგრაფით ატყობინებენ მუთათისიდა, რომ იქ იქნება დღეს გადახდილი პანაშვიდი საკათედრო სობოროში თავადის ბარიატინსკის მოსახსენებლათ.

შენიშვნა. უფ. რედაქტორო! ჩემს წერილში, რომელიც №47 „დროებაში“ იყო დაბეჭდილი ხელნაწერის „მეფხვის ტყაოსანის“ შესახებ, გადმომწერს შეცდომით ჩაეწერა „ნინო დლიანისა“, უნდა კი იყოს „ნინო წერეთელისა“ უმორჩილესათ გთხოვთ, მოწყალეო ხელმწიფე, პლაგი მისცეთ ამ შენიშვნას თქვენს პატივცემულს გაზეთში და ამით ღონის ძიება მამცეთ ჩემი შეცდომა გავასწორო.

ა. როინოვი, ფოტოგრაფი

წერილი რედაქტორთან

შუალო რედაქტორო!

ათას რეას სამოცდა თვრამეტის წლიდგან ჩვენ მოგვდის თქვენი პატივცემული გაზეთი „დროება“ რომლისგანაც ეტყობა უფროსად ჩვენ სამშობლოს ანბავს, და აგრეთვე ჩვენი ძმების მდგომარეობას. ჩვენთვის დიდათ ძვირფასია ყოველივე ანბავი რაც რომ ხდება ჩვენს სამშობლო ქვეყანაში.

რადგანაც თქვენც კარგათ მოგვხსენებთ მასწავლებლის საშუალება. იმის გამო ჩვენ ბევრის ხნით ვერ გამოვიწერეთ თქვენი პატივცემული გაზეთი მაგრამ ვადის გათავების შემდეგაც გვიგზავნით თქვენ გაზეთს! ჩვენგანნი ბევრნი

შეიქობდნენ და ამბობდნენ რომ ეს შეცდომის გამო მოხდით რომ 1879-სა საც გვიგზავნიანო, მაგრამ ახლა ნამდვილათ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი პატივცემული გაზეთი ჩვენ უსასყიდლოთ მოგვდის. ამისთვის ჩვენ, ქართველობა, რიცხვით თორმეტნი მოსწავლენი იმპერატორული ნიკიტის ბაღოსნობის და ღვინის გაკეთების სასწავლებელისა, დიდს მადლობას მოგახსენებთ თქვენ, რედაქტორს, ქართულს „დროებისას“ უფ. მესხს, და აგრეთვე თქვენ თანამშრომლებს.

ახლა მოგიტხოვრებთ რამოდენიმე სიტყვით ამ ნიკიტის ბაღოსნობის სასწავლებელზედ.

აქ ასწავლიან ბაღოსნობას და ღვინის გაკეთებას. სულ არის აქ ოთხი კლასი, რომლებშიაც უნდა დარჩეს ყმაწვილი ოთხი წელიწადი, მერმე ოთხიწლის უკან ორ წელიწადს უნდა იყოს პრაქტიკანტათ.

ქვეს წლის უკან სწავლის გათავების და შეისწავლის ბაღოსნობას და ღვინის გაკეთებას და მიიღებს ატესტატს:

ახლა ამ სასწავლებელში ქართველები ვართ რიცხვით თორმეტნი, იელიანე მრისთავი, ილიკო ტატიშვილი და მრასტი ცალკანამიძე. რომელნიც ვსწავლობთ მარტო ღვინის კეთებას. სხრანი კი ვსწავლობთ ბაღოსნობასაც და ღვინის-გაკეთებასაც აა გვარები: პრჩილა დარეჯანაშვილი, ნიკოლოზ რობიტაშვილი, თევდორე მთარაშვილი, სოლომან შიცხელაური, ბაბრიელ მასისიშვილი, სვიმონ ბურჯანიძე, ლიმიტრი იონატაშვილი, მიხეილ პაპიშვილი და ზაქარია ხუციშვილი.

ჩვენ ესხლა მოკლეთ გატყობინებთ ჩვენს იქ მდგომარეობისათვის ანბავს: მერე დრო იქნება რომ ყოველის-ფერის

მხლებლებს, რომელთაც, როგორც არა-გმირებს, ვერ უყვნიათ თავის გმირი მეფე, თუ დააპირეს მისი გულის გატეხა: ოღონდ ჰე, უკანასკნელათ ტანჯულწამებულმა, დონე-მოხდილმა ხორცმა კინალამ სძლია მაღალ სულს და დამტკიცა, რომ რაც უნდა გმირი ადამიანი იყოს, ადამიანი მაინც ადამიანათ რჩება. შბრალო სტეფილიის შვილსა და ნამდვილ გმირს შუა ამ შემთხვევაში ის განსხვავებაა, რომ გმირი გმირობას მაინც ბოლომდე გაიტანს, მაშინ როდესაც უბრალო მამაკვდავი მოულოდნელათ, საცოდავთ იწენს, რომ წუთი-სოფელს მაინც ვერ მოსცილდება.

აქაც, ჩემის აზრით, საქებურმა პოეტმა გამოიჩინა კაცის გულის ნამდვილი ცოდნა და მხატვარ-პოეტური გულთმისნობა. ნუ დამარწმუნებთ, რომ დიდს რომაელს ბრუტს (თუ კი ის ჰეშმარტი გმირი იყო და არა ფანატოკოსი) ხელი არ უკანკალვდა, რომცა ხანჯალს იცემდა გულში. იულიუს კესარი დიდ-

ხანს დადიოდა ჩაფიქრებული თავის ბანაკში, სანამ გადააბიჯებდა რუბიკონს. ოღონდ იმ შემთხვევაში დაგეთანხმებით მე თქვენ იმაში, რომ ილ. შაგ-ძის ღვინით თავდადებული ვერაა გმირი, თუ კი თქვენ იტყვიან, რომ ის არ არის გმირობა, როცა კაცი შერება იმას, რაც უნდა ჰქნას კაცურმა კაცმა, როცა სწირავს თავს იქ, საცა უნდა შესწიროს. მართი სიტყვით თქვენგან შემჩნეული ამ პოემის ნაკლი მდგომარეობს მეფის ხასიათის გაორავებაში და შეუსრულებლობაში (двойственность и невыдержка характера). მაგრამ ამაში ცდებით, და პირველი პირის ხასიათი მთელ პოემაში ერთიანი და ერთნაირათ შესრულებულია. რაც შეეხება იმას, რომ პოეტი მეფანტურეს უთმობს სიტყვას, ეს ერთი იმ ნერხთავანია; რომელსაც ხმარობენ პოეტები პოეზიის გაჩენილამდე. მაგრამ ეს სულაც არ გაძლიერებს ნებას, რომ თავგანწირული, სამაგალითო გმირი „გულშემატკივარ ხუცესათ“ გამოახატინონ

გარემოება უფრო დაწვრილებით შეგატყობინოთ.

მოსწავლენი ნიკიტის ბაღოსნობის სასწავლებლისა.

შირიში, სოფელი ნიკიტა. 1879-სწელსა 28-სთებერვალს

სამართალი

(„დროების“ კორესპონდენტისაგან)

ურიების სამამე

მუთათისის ოლქის სასამართლოში

სხდომა 6 მარტს, საღამოს.

(მაგჩქლებია)

პავლე ცხადაძე მეფენახში ვმუშაობდი სამშაბათს; ქალები კალას წვადნენ. სამხარობისას ბავშვები ფინხის მოსაკრებად წასულიყვენ იქვე ტყეში. ჩემი ძლისაბედა და მოდებამეს მიაჩრო დაბრუნებულიყვენ, სარჩა აღარ დახვედროდათ. მია თავის სახლში წავიდა, მამა მოიყვანა და ერთად დაუწყეს ძებნა ბავშვს, მაგრამ იმ ღამეს, ვერც მეორე დღეს ვერსად ვიპოვნეთ. მესამე დღეს, ხუთშაბათს საღამოს ეპოვნათ ღარბაიძეების გვერდით. შრიები შორილამ დავინახე, ჯერ ოთხმა ჩაიარა, მერე სამამა; თხა არ დამინახავს. პირველმა ოთხმა ურიაჩ რომ ჩაიარა შარავახზე სარჩა მე დავინახე, ვიწრო გზაზე მიდიოდა. მიცვალებული ქალი რომ მოიტანეს შინ, მეც იქ დავესწარი; ჩვარივით იყო რბილი, ხელი აუწიე და შევამჩნიე, რომ ცერსა და თითს შუა ხორცი შუარიანისოდენა რგელად ჰქონდა ამოჭრილი; მეორე ხელზე კი უფრო პატარა ქრილობა ჰქონდა. შრინველი და მხეცი პირველად თვალბში და ცხვირ-პირში დაეცემა მკვდარს და იმა ამოუტამს; მე-

და ამგვართ სულ წინააღმდეგი შთაბეჭდილება დაბადონ მეითხველის გონებაში. თქვენი რა ვიცი და მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ პოემის კითხვაზე არა ერთს და არა ორს მეითხველს აებუძეა თმა და რეოლამ გაურბინა, ტანში. თვითონ პოეტს რომ ეამბნა მამინ შეეძლო გამოეუქვა და აესნა ყველა, რაც ღვინის გულში უცნობი და მიუხედავად იყო. ამბობთ თქვენ. მართი, რომ აქ (ვიმეორებ კიდე) არაფერია არც უცნობი და არც მიუხედავადი და მეორე—დიდი შეცდომაა ამ შემთხვევაში თქვენის მხრით პოეტისა და მეფანტურესი გაცალ-ცალკეება. აქ ეს ორი პირი განუსაზღვრელი და განუყოფელია, და პოეტი, მეფანტურე რომ თავილამ მოეცილებინა, ერთს ნამცეცს არ ავიხსნიდათ და არ გამოთქვამდა იმაზე მეტს, რაც ახლა არის გამოთქმული. პოეზიის ემგვარ დარგში, რომელსაც ეკუთვნის პოემა, რაც უფრო უჩინარია პოეტი, რაც უფრო ნაკლებათაა მისი

ლა ვერ მიხვდავს მძოვრთან, სანამ სუ-
ნი არ ატყუნდება. მიცვალებული ყო-
ველთვის ხუთი-ექვსი საათის შემდეგ
გაშეშდება. სარჩა წინა ღამის მკვდარს
ჭვავდა; მაგრამ რატომ არ იყო გაშეშე-
ბული, — ეს მე არ ვიცი, რამოგახსენოთ,
ნასწავლი კაცები თქვენა ხართ და თქვენ
უნდა მიხვდეთ... მაგიგონია სოფელში
ჭორბათ, რომ ურიები ქრისტიანს აწვა-
ლებენო, სურამში მომხდარა ამისთანა
ამბავიო, მაგრამ ნამდვილი კი არა ვი-
ცი-რა...

და თან ცხნდა ძე. მე და მამა ჩემი
(პავლე) ერთად ვმუშაობდით. ვენახში
და ვენახეთ ურიებმა გამოიარეს. მაგი-
გონე, როცა ტურთამ დაუძახა ურიებს,
საკაბე მომყიდეთო; მაგრამ იმათ არ
მოიცადეს.

სინო წერეთელი. მე და პრის-
ტავი სამონ შაჯაია ჩემი სახლის ბალ-
კონზე გახლდით და იქილამ დაინახეთ
ურიები; ჯერ ოთხმა ჩაიარა, მერე სამმა,
ერთს გარდა ყველა ცხენოსნები იყვნენ;
ნაბიჯით მიდიოდნენ. შორს იყო და
ხურჯინი არ შემინიშნავს. ღარბადიები-
საკენ ხრამებია, დიდ კაცსაც გაუჭირდებ-
და ამ გზით სიარული და სარჩას სულ
არ შეეძლო. ხალხი ყველგან ეძებდა.
იმ დღეებში კი დიდი წვიმა იყო. სამ-
შაბათს კი ნისლი ჩამოაწვა პერევისას,
ქარი არ ყოფილა. სარჩამ რომ გაიარა,
ურიებმა ორი საათის შემდეგ ჩაიარეს.

სამსონ შაჯაია. სინო წერეთ-
ლის სახლის ბალკონილამ დაინახე ორი
წყება ურიები; უკანა წყებაში ერთი ქვე-
ვითი იყო. მხა და ხურჯინი არ შემინ-
იშნავს; უკანა ურიები უფრო ჩქარა
მიდიოდნენ. ხუთ საათზე შეეძლოთ ამ
ურიებს პერევისილამ სახნგრეში ჩასვლა.
სახნგრის ბაზარზე უნდა გავვლოთ.

სოსიკო წივილა შვილი. შა-
ნაში გახლდით, ვმუშაობდი. მრ წყე-
ბად ამოიარეს ურიებმა; უკანა წყებაში
სამი ცხენოსანი იყო და ერთი ქვევითი.

ისე ჩქარა მოსიარულე ურიები მე ჯერ
არ მიხანავს. წინ რომ მიდიოდნენ, ხურ-
ჯინი ერთს იმათგანს ეკიდა და თხაც ამ
ხურჯინში იყო.

ზოგია წივილა შვილი. მე-
ნახში გახლდით, შორილამ დაინახე უ-
რიები, მაგრამ არც ხურჯინი შემინიშნე-
ვია, არც თხა. იმ ღამესვე შეეიტყე ბავ-
შის დაკარგვა. სამშაბათს ნაშუალამეც
კი წვიმა იყო.

დიმიტრი ბეროს ძე წერე-
თელი. საცა ცხადის ქალები უმა-
რილს წვედნენ ტყეში, იმის პირ-ღა-
პირ ვმუშაობდი. სამხრობისას ნისლი
რომ ჩამოწვა, აუშვი მუშაობას და პი-
რუტყვის საძებნელად წავედი, რადგან
მეშინოდა, ნისლში გზა არ დაეხდეს და
სადმე ხრამში არ გადავარდეს-მეთქი. სა-
ძაღლი-ხევის გზის პირას რომ გამოველი,
უეცრად მომესმა ბავშვის ხმა: „—მაიმე,
დედა, დედა, მიშველე!“ მივიხედე და
ენახე, რომ შარა გზაზე სამი ცხენოსანი
და ერთი ქვევითი ურია გაჩერებული-
ყვნენ და ხურჯინს თავს უკრავდნენ.
იმათი მხრილამ მომესმა ბავშვის ხმა.
მხაც პეტელობდა. ბავშვის ხმა მარტო
ერთხელ გავიგონე. ხურჯინი ძალიან
დიდი იყო; ამ ხურჯინის მეორე თვალ-
ში თხა ჩავსვით. ჯერ ბოვშმა გამოიარა
გზაზე, მერე ოთხმა ურიამ და შემდეგ
სამმა. მეორე დღეს გავიგე, რომ იოსებ
მოღებამის პატარა ქალი სარჩა დაიკარ-
გაო. არც იმ დღეს, არც მეორეს, არც
მესამეს მე არავისთვის არ მითქვამს ეს
ამბავი, სანამ უეზდის ნაჩაღნიკმა მჭი-
მოვსკიმ არ დამიბარა და არ მკითხა. მე
არ მიძებნია ბავში, მამასახლისმა გლე-
ხები გაგზავნა საძებნელად. მკვდარი ბავ-
ში ენახე, ხელზე ქრილობა ჰქონდა
მართალია, ბავშვის ყვირილი გავიგონე,
მაგრამ ეს ამბავი არავისთვის მითქვამს,
რადგან არავის უკითხავს ჩემთვის. მხა
მარჯნი იყო ხურჯინში; მე მარცხნი-
ლამ დაინახე, თავი ჰქონდა ამოშვერი-

ლი. ურიებმა რომ გაიარეს, კმულდა
დიდი ნისლი იყო.

სხლამა 7 მარტს, დილით

ზიორგი მოღებამძე. ურიებმა
ჩამოიარეს. ბავშვის ხმა გავიგონე; ის
ხმა სწორეთ ბავშვის ხმა იყო და არა
თხისა. მეორე დღეს, როცა ხმა გამოვი-
და, რომ სარჩა დაიკარგაო, მამასახლისს
უთხარი ეს ამბავი, მაგრამ იმან ხმა არ
გამცა. მკვდარი ენახე; თითებში ხორცო
რგვლად ჰქონდა ამოგლეჯილი. მკვდარ-
ი მე ავიღე ხელში, ჩვარივით იყო;
ზოგი კი ისე რბილად დარჩება. სუნი არ
ჰქონია. სხვა არაფერი დაჭრილობა არ
მიხანავს მკვდარზე. მთხმა ურიამ რომ
გაიარა წინათ, თხა იმათ ჰყავდათ ხურ-
ჯინში. მუშაობის დღე იყო, იმ გზის
პირად ყველგან ყანები და ვენახებია,
ბევრი ხალხი იქნებოდა სამუშაოზე. მეო-
რე დღეს ტურთა ცხადისამ მითხვა:
„—რას ეძებთ ბავშვს, ის ბავშვი ურიე-
ბმა წაიყვანესო!“

ზიორგი შრ. მოღებამძე. სამ-
შაბათ დღეს დილილამ ყანაში ვმუშაობ-
დი. სამხრობისას ურიებმა ჩაიარეს საძა-
ღლიხევის გზაზე; პირველად ოთხმა და
მერე სამმა, ერთი მეორესგან ორმოცი
საქენზე იქნებოდა; სარჩა რომ ჩამოვი-
და ვიწრო გზილამ, ამ ორ წყობა ური-
ებს შუა მოხვდა და შუაში მიდიოდა.
არც ბოვშისა და არც თხის ხმა არ
გამიგონია.

მლისაბეღ მეფარიძისა. სოფ.
შუკრუთილამ ვარ. სახნგრის გზა ზედ
ჩვენს სოფელზე გამოდის. ჩემი სახლის
წინ ფიჩხს ეკრებდი; ამ დროს ცხენო-
სანმა ურიებმა გამოიარეს და ბოვშის
ხმა მომესმა; ნამდვილი ბავშვის ხმა გა-
ხლდა: „მა! მა!“ ჰყვიროდა; ამოდენა
მოხუცებული ვარ, ტყუილს უფიცოთაც
არ მოგახსენებთ. მც ნაბიჯზე ჩამოიარ-
ეს ურიებმა. სოტა ყურს მაკლია, მა-
გრამ ბავშვის ხმა მაინც გავიგონე.

პირადი ახსნა და გამოთქმა, მით უფრო
დიდი ღვაწლი მიუძღვის პოეტობის წინა-
შე. აქ პოეტი კი არა, არამედ თვით გმი-
რის ხასიათი, საქციელი, თვით იმ გა-
რემოებათა ბრუნვა, რომელშიაც ჩაყე-
ნებს პოეტი თავის გმირს, უნდა გვეუბ-
ნებოდენ ვემხელდნენ უჩინარი პოეტის
აზრს, ახსნას, იდეას და სუყველათფერს,
რაც გნებავთ. მქვენ ძრიელ ცუდი აზ-
რი ჰქონიათ შედგენილი დაბალი ხალხის
პოეტურ ნიჭზე, თუ გგონიათ, რომ მი-
სი გონება ვერ გაიგებს, ვერ მიწვდება
გმირის გულს, უნებურათ დაამდბოებს
და, როცა ღომის გამოხატვას დაპირებს,
კატა გამოუვა ხალხზე.

მე აქ არ შევიდვიარ მდამირ ხალხის
უხელოვნური პოეზიის გარჩევაში, მაგ-
რამ იმას კი მოგახსენებთ, რომ პირიქით
უბრალო ხალხის პოეზიური ნაწარმოები
არასოდეს არ ჩამოიხრებიან უკან ასე
დარქმეულს ხელოვნურ პოეზიას წმინ-
და პოეზიური ელემენტებით. ხალხი

ვერ აგიწყობსთ ლექს, გამოიჩინს თავის
გამოუცდებლობას, უხელოვნობას, გარე-
გან ფორმაში, გამოიჩინს სილატაკეს,
ვიწროობას მაღალ და ფართო იდეებისა
ფრენაში, აურევ-დაურევს ისტორიულ
პირებს და გარემოებას, ხან-და-ხან სი-
ცილსაც მოგვერისთ, თუ გნებავთ, თა-
ვის ბავშური შეხედულობით, მაგრამ
ნუ იტყვიოთ, რომ იმან გმირი დაამდბ-
ლოს და სახელოვანი მამულის-შვილი
გამოხატოს ისე, რომ ის ემსგავსოს მტი-
რალა ხუცესს, მხდალ და გაუბედავ
კაცს. მე გთხოვთ მოიგონოთ ლერმო-
ტოვის ჩინებული ლექსი: „Пѣсня про
царя Ивана Васильевича и купца Калаш-
никова“. აქაც პოეტი უთმობს სიტყვას
მეფანტურეს, და თქვენ, თუ გააყოლებთ
პარალელს ამ ორ ლექს შუა, უთუოთ
ლერმონტოვსაც შესწამებთ ნაკლულე-
ვანებას: ივანე მრისხანეს ხასიათი ვერ
გამოხატა რიგიანათო. როგორ თავსდე-
ბა თქვენს აზრში ის უცნაური გარემოე-

ბა, რომ მეფანტურე, დაბალი ხალხის
კაცი, რომლისთვის გმირული გული
„მეტათ მიუწვდომელია“, ხან-და-ხან
წარმოსთქვამს ამგვარ აზრს:

„ბულის სილბო სიტურფვა,
თუ კაცია სხვაფრივ ლომი.
მართალს ვაჟ-კაცს ის ამშვენებს,
როცა გულითაც ლბილია,
რკინის კაცის თვალში ცრემლი
დიდ-სულოვნების შვილია“.

მაგრამ უბედურებაც ესაა, რომ თქვენ
ვერ ხედავთ აქ ვერაფერ წინააღმდეგო-
ბას, ვერ მიწვდარხართ აქ გამოთქმულს
მაღალს და სამღვთო აზრს და იმიტო-
მაც მთელი პოემა ყირაზე შეათამაშეთ.
შველაფერში, ყველაფერში და გმირული
გულის გაგებაში არ არის ისეთი განსხ-
ვავება „დაბალ“ და „მაღალ“ ხალხს
შუა, როგორც თქვენ პოევეთ.

ზრ. შაწიფარიძე



ბესოზოგატიველი. მთხი ურია დადინანე, გაჩქარებით მიდიოდნენ. ამ ურეების დანახვა და ბავშვის ყვირილის გაგონება ერთი იყო. მის ურეის თხი ორი ყური ეკირა ხელში, უქლდე-მაგდა და აჭყალებდა. თხა რომ დადინანე, მერე კი ვიფიქრე, რომ ეს ხმა თხის უნდა იყოს-მეთქი და გავჩუმდი. ხურჯინში ერთ თვალში თხა იყო და მეორეში რალაც ფუთა.

სამსოან ბაჩეჩილაძე (შორეთის სოფლის შკოლის მასწავლებელი). შკოლის ბალოკონიდან დადინანე ურეები, მიუხედავად და ვკითხე: ცხვირ-სახოცები ხომ არა გაქვთ-მეთქი გასასყიდი. არა, არ მაქვსო, მითხრეს. მის ურეის ხურჯინი ეკიდა ცხენზე, ცალ თვალში თხა იყო, მეორეში რალაც ინძრეოდა. რა ინძრევა-მეთქი ამ ხურჯინში, ვკითხე იმ ურეის. ბატებო, მითხრა. ხომ დაიდრჩევა-მეთქი. არა უშავს-რა, დაილჩევესო, სხვა ადგილი არა გვაქვსო. ათი მინუტის განმავლობაში ველაპარაკებოდი ამ ურეებს. მაინც-და-მაინც არ მიიჩქროდნენ. მითი იმათგანი დაბრუნდა, მოვიდა შკოლაში და სპიჩკა ითხოვა; მაგრამ ამ დროს წინ წასულებმა დაიძახეს, ჩვენ გვაქვს სპიჩკა და ესეც წავიდა. თხა ხან-და-ხან პეტელებდა. ბავშვის ხმა არ გამოგონია. მე რომ ველაპარაკებოდი ურეებს, არ შემომჩნევია, რომ იმ ხურჯინში რალაც იყო, იმას მოძრაობა მოემატებინოს, სულ ერთნაირად ინძრეოდა.

სალომე ქალმანელიძე (სახნერელი). სახლიდან რომ გამოველი, ყმაწვილის ხმა გავიგონე. შემეშინდა და ჩემ რძალს დაუყვარე: „—ბოვევი იღჩობა, ვაიმე!“ ამ დროს მაქიმე ნადიმადე გამოვიდა და მითხრა: „ნუ გეშინია, ურეებს თხა მიჰყავთ და ის ბლავისო.“ მაშინ კი დაშვიდიდი, მაგრამ მერე დღეს რომ ხმა გავარდა, ურეებმა ბავში მოიტაცეს, მაშინ კი სწორეთ დავრწმუნდი,

რომ ეს ბავშვის ხმა იყო და არა თხისა. ახლაც ვამტკიცებ, რომ ის ბავშვის ხმა იყო. იმისთანა ხმა მამესმა, თითქო ბავშვი იღჩობოდა და ის ყვიროდა. ჩემი შვილი-შვილები რომ ვნახე იქვე იყვნენ, მშვიდობით, გული დავიშვიდე. არ დამითვლია რამდენი ურია იყო, უცბათ ჩაიარეს მეთი არა ვიცი-რა...

მაქსიმე ნადირაძე. ხარაზი ვახლავარ. ჩემ დუქანში ვიყავი სახნერეში, როდესაც იქვე გზაზე ცხენოსანმა ურეებმა ჩამოიარეს და ამდროსვე ბავშვის ხმა მომესმა. ნადილი ბავშვის ხმა იყო, სწორეთ. თხასაც ჯოხს ურტყავდნენ და აყვირებდნენ, მაგრამ თხისა და ბავშვის ხმას კი გავარჩევე. ურეები ისე ჩქარა მოაჭენებდნენ ცხენებს, რომ მეთი არ შეიძლება. ეს ამბავი მე არავისთვის არ მითქვამს. ან რად ვიტყვოდი, სამახარობლოს არავისგან არ მოველოდი... ხურჯინში ერთის მხრით თხა იყო, მეორე მხრით ნაბადი ჰქონდა და გადაფარებულნი...

განცხადება
მირით იძლევა ოთახში მებოლით და მოსამსახურით, თითო ოთახი ათ მანეთიდან ოცამდე თვეში. საპერის ქუჩა, სამხედრო გიმნაზიის პირ-და-პირ № 12, არუთინოვის სახლში. (3-2)

კვირას, 11 მარტს უწინ დელ მუზიკის საზოგადოების ზალაში, იარმუკაზე, ქართული სცენის მოყვარეთაგან სამადლო საქმისათვის წარმოსდგება.

„ქიდე პრთი მსხვერპლი“
ქამედია ხუთ მოქმედებად, თხზ. ზაბ. სუნდუკიანცისა
„სოლი თუ გინდათ მს არის!“
მოღვილი ერთ მოქმედებად მას. აბაშიძისა
ანტირატში დაუპრავს ჩხის მუზიკა
ბილეთები ისყიდება კასსირთან როინოვის ფოტოგრაფიაში, სასახლის ქუჩაზე, და წარმოდგენის დღეს თვით ზალაში სალამოს საათიდან. (3-3)

9 მარტს პირველსა და მეორესა საათს შუა დღით, მოზნესენკისა და ქალაქის ქუჩაზე დაიპარბა ოქროს მინდისთაში თერთმეტის ბრილიანტით შემკობილი მინც ამ ქინძისთავს მოიტანს. ჩემს უზრავლონიაში მაშინვე მიიღებს საჩუქრათას მანეთს.

თფილისი, უმფროსი პოლიციისმეტერი, პოლკოვნიკი მერკლინგ. (3-1)

თფილისში უფ. ზ. ჩარკვიანის წიგნის მალაზიაში და მუთაისში უფ. ქოტე მესხის წიგნისვე მალაზიაში (ისპი-ღება).

ალმანახი
შედგენილი
ზ. თუშანიშვილისაგან
წიგნი მეორე
ბამოცემული ზ. ჩარკვიანისაგან
ფასი—ორი აბაზი

„ჰაერ მსტატი“
ქამედია ოთხ-მოქმედებად, თხზულებად
მ. ჯორჯაძისა

რბ. გზა.	დღა.	საღა.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მანკაპ.	მაზანდა	მანკაპ.	თფილისის სამკურნალო.
თფილისი	9 21	5 18	კაპ.	მ. კაპ.	მ.ცი სიტყვა	თფილისიდან:	თფილისი, 9 მარტს.		მრეფეს მადანზე, წ. ნამდვაროვის სახლებში.
მცხეთა	10 11	6 27	85	44	ქაქავისი აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	50	შვედი წითელი	1 30	აგათყოფებს მიიღვენ ყოველს დღე დღის 9 საათიდან 1-მდინ.
ზორი	11 58	9 43	3	1 53	როსტოვს, მდესანს, მოსკოვს	2	მერი ფუთი	1 10	მოზაბათს: მერმიშვევი და ბა- რლევინი—შინაგ. ავთა, შიუჩა- რინც—ქალის ექიმი და საშვი- ლოსნოს ოპერაციები.
ხაშური	1 29	11 57	4 73	2 42	პეტერბურს, ვარშავას.	2	ბამბა მრევისა, ფუთი	7 40	სამშაბათს: მერმიშვევი—ში- ნაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავ- შვის. პუნოვი—თვალის.
სურამი	1 44		4 90	2 61	მსმალეთში, შვეიცარიაში.	3	— ამერიკიასა, ფუთი	8 50	მოთშაბათი: მერმიშვევი ში- ნაგანი აგათყოფის.
ქვირილა	5 49		7 21	3 69	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	ბაპენტილი ბამბა ფუთი.	9 70	ხუთშაბათს: მერმიშვევი—ში- ნაგ. შიუჩარინცი—სიგლიტიკუ- რი და საზარდგ ორგანების.
რიონი	6 51		8 44	4 31	ინგლისში	3 75	მატყელი თუშური ფუთი.	6 50	პარაკეცეს: მერმიშვევი—შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო, ქალისა და ბავშვების.
სამტრედია	7 51		9 66	4 93	ფოკრბა		— მარაქამისა ფუთი	3 80	შეგანი აგათყოფის.
ახალ-სენაკი	8 43		10 71	5 47	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, შუთასს, რუსეთს— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდიდს და ხუტოშ. მ. ზურ.— პარასკ. და ორშ. ბახეთს—სამშ. და შაბ. ბ) შუთაი-სიდან: თფილისისა და შუთისკენ— ყოველ დღე, კვირას გარდა. მ. ზურ-გეთს— ორშ. და პარასკ.		აბრეშუმი ნუხური სტ.	2 10	შეგანი აგათყოფის.
შოთი	9 50		12 24	6 26	წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ;		— მარაქამისა ფუთი	3 80	პარაკეცეს: მერმიშვევი—შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო, ქალისა და ბავშვების.
შოთი	9 3				ლია წიგნის	4	— ფხენილი ფუთი	5 40	შეგანი აგათყოფის.
ახალ-სენაკი	10 14		1 53	78	დაბეჭდილის (სამი მისხალი)	8	ქავა გრგვლი, გირვ	70	შეგანი აგათყოფის.
სამტრედია	11 5		2 61	1 33			ჩეთი ქუნჯუთისა ფუთი	11 70	შეგანი აგათყოფის.
რიონი	12 13		3 84	1 97			თამბაქო, ხაშულო ფთ.	6 80	შეგანი აგათყოფის.
ქვირილა	1 18	ლაგ.	5 3	2 56					
სურამი	5 12		110 7	34 3 74					
ხაშური	5 39		1 37 7	51 3 84					
ზორი	7 5		4 8 9	24 4 73					
მცხეთა	8 50		6 59 11	39 5 82					
თფილისი	9 31		7 56 12	24 6 26					